კორპორაციული პასუხისმგებლობის ანგარიში 2023

განათლება ფრთა
თავისუფლებისთვის
ღია ეროვნული

ლიბერთი ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი კომერციული ბანკია, რომელიც 1,7 მილიონზე მეტ ფიზიკურ პირს და 50 000-ზე მეტ მცირე და საშუალო ბიზნესს ემსახურება.

ბანკის აქტივები 4 მლრდ ლარს შეადგენს და დასაქმებულია 5 000-ზე მეტი თანამშრომელი. ლიბერთი ქვეყნის მასშტაბით წარმოდგენილია ყველაზე ფართო ქსელით: 500-მდე მომსახურების ცენტრით, 632 ბანკომატით, თვითმომსახურების და 7000 POS ტერმინალით საქართველოს ყველა რეგიონსა და მუნიციპალიტეტში.

ლიბერთის მისიაა გააუმჯობესოს თითოეული ადამიანის, მათი ოჯახისა და ბიზნესის ცხოვრება საქართველოში.

ბექა გოგიჩაიშვილი

ლიბერთის გენერალური დირექტორი

2023 წელს კორპორაციული პასუხისმგებლობის სტრატეგიის მთავარ მიმართულებად კვლავ განათლების ხელშეწყობა ავირჩიეთ. განათლება, როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოებრივი განვითარების მთავარი საყრდენია, ეს არის გასაღები, რომლითაც ახალ შესაძლებლობათა კარს აღებს ადამიანი. განათლება ხელს უწყობს მუდმივ განვითარებას, ხოლო განათლებაში ინვესტიცია ქვეყნის კეთილდღეობის საწინდარია. ცოდნას დიდი ძალა აქვს და ჩვენ ვცდილობთ ხელი შევუწყოთ ცოდნის გაზიარებას როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე იმ ადამიანთა შორის, ვისაც ვემსახურებით.

გრძელვადიანი სტრატეგიული პარტნიორობების, საგანმანათლებლო ინიციატივებისა და ინოვაციური პროგრამების დახმარებით გვსურს შევქმნათ ცოდნისა და უნარების გაუმჯობესების გზები, რომელთა საშუალებითაც ადამიანები შეძლებენ ფეხი აუწყონ დღევანდელ სამყაროში მიმდინარე სწრაფ ცვლილებებს.

საგანმანათლებლო ინიციატივების შესახებ ფიქრისას, ჩვენი გუნდის მოტივაციას წარმოადგენენ პროექტებში ჩართული ადამიანები: მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები ბავშვები, რომელთაც ახალი წიგნის წაკითხვის ბედნიერება ხვდათ წილად, ლეჩხუმის სოფლებში მცხოვრები უფროსკლასელები, რომელთაც მივეცით „ვეფხისტყაოსნის“ სიღრმისეული მოსმენის, მისი გააზრებისა და ინტერპრეტაციის უნიკალური შესაძლებლობა გამოჩენილ მეცნიერებსა და მწერლებთან შეხვედრისას, ახალგაზრდა მეწარმეები საინტერესო ბიზნესპროექტებით და სწავლასა და ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული ქალი მეწარმეები.

ლიბერთის გუნდი ყოველთვის ეცდება, იყოს ადამიანებისთვის პოზიტიური ცვლილებების ინიციატორი.

საგანმანათლებლო პროექტებით **ცოდნა მიიღო**

27 943

ადამიანმა

დაფინანსდა

54

ახალგაზრდა

მეწარმე რეგიონში

ლიბერთის თანამშრომლებმა ჩაატარეს

104

ტრენინგი

ცოდნის გაზიარების მიზნით



ლიბერთის თანამშრომლების მიერ შექმნილმა ფონდმა – **„გულით ერთმანეთისთვის“** გადაუდებელი სამედიცინო დახმარება დაუფინანსა

222

თანამშრომელს

3 780

წიგნი საჩუქრად

გადაეცათ ბავშვებს მაღალმთიან სოფლებში

მეწარმეთა **გაძლიერების მიმართულებით** პროექტების მონაწილეთა

70%

შეადგენდნენ ქალები

ლიბერთის **სოციალურ პროექტებში** ჩართულია

80

პარტნიორი კომპანია

პირველადი უფასო **სამედიცინო დიაგნოსტირება** ჩაუტარდა

5 264

ადამიანს

საქართველოს მიუწვდომელ სოფლებში

უნიკალური სოციალური პროექტების ფარგლებში **მომხმარებლებმა დაზოგეს**

₾22 025 552

ქართული ენის შესწავლაში ჩაერთო

15 000

ემიგრანტი

ᲚᲘᲑᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

მთიელი წიგნები

„მთიელი წიგნები“ შეიქმნა იმისათვის, რომ მთაში მცხოვრებ ბავშვებსა და მოზარდებს ადგილზე ჩაუტანოს თანამედროვე ქართველი თუ უცხოელი ავტორების ნაწარმოებები და ამ გზით ხელი შეუწყოს მათში წიგნის კითხვის სიყვარულის გაღვივებას.

პროექტის მიზანია არც ერთი ბავშვი არ დარჩეს ძვირფასი საჩუქრის – წიგნის გარეშე. 2023 წელს ლიბერთი გახდა „მთიელი წიგნების“ პარტნიორი. ამ მეგობრობის ფარგლებში, 3 000-მდე ბავშვს გადაეცა მათთვის სასურველი წიგნი.

120
სოფელი

3 780
წიგნი

35
ბიბლიოთეკა

2 647
ბავშვი

„მიუხედავად იმისა, რომ „მთიელი წიგნების“ ცხოვრება ჯერ მხოლოდ ორ წელიწადს ითვლის, მან უკვე მრავალი ბავშვი გაახარა.

ეს თავგადასავალი დაიწყო ერთი წიგნით, რომელიც ერთ-ერთი ლაშქრობის დროს სოფლის შარაზე შემხვედრ პირველსავე ბავშვს ვაჩუქე. გზადაგზა სხვა ბავშვებიც შემომხვდნენ, მაგრამ მათთვის წიგნები აღარ მქონდა და გული ძალიან დამწყდა. თბილისში დაბრუნებულმა მეგობრებს ჩემი განზრახვა გავუზიარე. იდეა ყველამ მომიწონა, ამიტომ სწრაფად დავფაცურდით, ჩვენი წითელი ყველგანმავალი ავტომობილი წიგნებით გავავსეთ და სვანეთისკენ გავეშურეთ. სვანეთის შემდეგ რაჭა-ლეჩხუმში გავემგზავრეთ, შემდეგ კი სხვა მაღალმთიან რეგიონებსაც ვესტუმრეთ. ასე დაუგეგმავად გადაიქცა მეგობრების ჯგუფი ორგანიზაციად, რომელმაც მიზნად დაისახა საქართველოს მაღალმთიანი რეგიონებისა და ყველაზე მიუვალი სოფლების შემოვლა. თანდათან გაჩნდა ნდობა საზოგადოებაში, მხარდამჭერთა რიცხვიც გაიზარდა. ჩვენთვის ერთ-ერთი გამორჩეული პარტნიორი ლიბერთი გახდა,

გიორგი კივილაძე

„მთიელი წიგნების“ დამფუძნებელი

რომლის დახმარებითაც გურიის, აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის მთიან სოფლებში 4 000-მდე წიგნი დავარიგეთ. ახლა ლიბერთი ჩვენიანია, მასთან ერთად გაკეთებული საქმე კი ქვეყნისთვის უაღრესად საჭირო და მნიშვნელოვანი“.

თამარ ზაქარიაძე

ლიბერთის კორპორაციული პასუხისმგებლობის მიმართულების ხელმძღვანელი

„განათლება თავისუფლებისთვის“ – ეს არის ჩვენი კორპორაციული პასუხისმგებლობის მთავარი იდეა.

ბედნიერებაა თითოეულ ბავშვთან შეხვედრა, რომელიც სულმოუთქმელად ელოდება დაპირებულ წიგნებს. ამ დროს ყველაზე კარგად აცნობიერებ, რომ ისეთ საქმეს ემსახურები, რომელიც სულ მალე აუცილებლად გამოიღებს მნიშვნელოვან შედეგს. ერთმა წიგნმაც კი შეიძლება მთლიანად შეცვალოს მოზარდის სამყარო“.

ყვითელი
კოდალას
ორდენი
ჯინტვირუ ლობატუ

LONDON

მასწავლებლის ეროვნული ჯილდო

ლიბერთი პარტნიორია
2017 წლიდან

ჯილდოზე წარდგენილი იყო
4 663 მასწავლებელი

დაჯილდოების ცერემონია იმართება ყოველი წლის
5 ოქტომბერს

სულ 2023 წლის ჩათვლით შემოვიდა
778 განაცხადი

"მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს" მფლობელი გახდა
7 მასწავლებელი
საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან

ლიბერთი ყოველწლიურად მხარს უჭერს გლობალურ კამპანიას - „მასწავლებლის ეროვნული ჯილდო";

„მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს" არსი მდგომარეობს მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციაში, განსაკუთრებული მასწავლებლების გამოვლენასა და საზოგადოებისათვის მათ წარდგენაში. პროექტის ფარგლებში ყოველწლიურად შესაძლებელი ხდება საზოგადოებამ გაიცნოს ათობით მასწავლებელი, რომელიც გასაოცარი ენთუზიაზმითა და სწავლების განსაკუთრებული მეთოდით ცდილობს გაუზიაროს ცოდნა საკუთარ მოსწავლეებს.

„მომავალი განათლებაშია, განათლების ხარისხს კი მასწავლებელი განსაზღვრავს – სწორედ ამ რწმენით დავაარსეთ 2017 წელს „მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“. ჯილდოს მეშვეობით გვინდა საზოგადოებას კიდევ უფრო ნათლად დავანახოთ ამ პროფესიის მნიშვნელობა, გავხადოთ იგი მეტად მიმზიდველი და, რაც მთავარია, მასწავლებლთა მხარდაჭერით დავაფასოთ მათი შრომა.

არასოდეს დამავიწყდება და მუდამ მადლიერი ვიქნები იმის გამო, რომ 8 წლის წინ ლიბერთი ბანკი მყისიერად გამოეხმაურა ამ კამპანიას და თანადგომის სურვილი გამოთქვა. მათ კარგად ესმით, რომ თავისუფლება განათლების გარეშე რთულად მისაღწევია და ამიტომაც განათლების მხარდაჭერა ყველასი და მათ შორის ბიზნესის მოვალეობაცაა.

ჩვენთვის „ლიბერთი ბანკი“ იმ ადამიანების გუნდია, ვისთან ერთადაც ვქმნით „მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოს“. მოხარული ვარ, რომ ამ გუნდის მონაწილეობა და მხარდაჭერა

ირინა ხანთაძე

მასწავლებლის ეროვნული კოალიციის დამფუძნებელი

შესაძლებლობას გვაძლევს, პროექტი მომავალშიც გაგრძელდეს და კიდევ უფრო განვითარდეს.“

ლევან სამუშია

ლიბერთის სახელმწიფო სექტორის დაფინანსებისა და სახელფასო პროექტების დეპარტამენტის უფროსი

„ჩვენთვის უდიდესი პატივია მასწავლებლებზე ზრუნვა და მონაწილეობა პროცესში, რომელიც ხელს უწყობს უმნიშვნელოვანესი პროფესიის პოპულარიზაციას. საზოგადოებისთვის „მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“ სულ უფრო პოპულარული ხდება.

„მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ მისია მხოლოდ კონკრეტული ადამიანების გამოვლენა როდია. იგი ასევე ემსახურება იდეას, რომ განათლება არის პროცესი, რომელიც ეფუძნება მასწავლებლის ინდივიდუალიზმსა და მოსწავლეებისადმი სიყვარულს.“

საუბრები „ვეფხისტყაოსანზე“

„საუბრები ვეფხისტყაოსანზე“ ლიბერთისა და „ცაგერის ისტორიული მუზეუმის“ მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო პროექტია, რომლის ფარგლებშიც მწერლებმა და მეცნიერებმა ლეჩხუმის სკოლების უფროსკლასელთათვის ექვსი ლექცია ჩაატარეს.

ბარდნალას, ოყურეშის, ლაილაშის, ზუბის, ტვიშის, ღვირიშის, ორბელის და სხვა სოფლების სკოლების უფროსკლასელებმა დათო ტურაშვილთან და რატი ამაღლობელთან ერთად წიგნის თავგადასავალსა და პოემის ევროპულ ღირებულებებზე იმსჯელეს. თამარ აბულაძემ და ლევან თაქთაქიშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალური გამოცემებისა და ხელნაწერების მცირე სახელდახელო გამოფენები მოაწყვეს, სადაც წარმოადგინეს „ვეფხისტყაოსნის“ ოცდაჩვიდმეტი უნიკალური გამოცემა, თავაქარაშვილისეული უძველესი ნუსხის ასლი და მსმენელს პოემის გადაწერისა და ბეჭდვის შესახებ უამბეს. გიორგი ლობჟანიძემ რუსთაველსა და მის თანადროულ აღმოსავლურ ლიტერატურას შორის არსებულ მსგავსებებზე ისაუბრა, ხოლო ანდრო დგებუაძე შეეცადა, „ვეფხისტყაოსანი“ აზროვნების საწყისის ჭრილიდან დაენახათ მოსწავლეებს.

ამ ლექციებით გამოწვეული მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, ახლა უკვე ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მოუსმინოს ლიბერთის YouTube არხზე.

6
სპიკერი

12
ლექცია

600
მონაწილე

მოუსმინე ლექციებს

ნატო ზაქარიაძე

ცაგერის ისტორიული მუზეუმის ხელმძღვანელი

„გვინდოდა, ლეჩხუმის ყველა სოფლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის იმაზე უკეთ და სიღრმისეულად გაგვეცნო „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული და ფილოსოფიური სამყარო, მისი, როგორც დიადი პოემის ჩვენამდე მოღწევის, ისტორია და საიდუმლოებანი, ვიდრე ამას სკოლაში შეძლებდნენ.

მათთვის ეს იქნებოდა სრულიად ახალი და დასამახსოვრებელი ნაცნობობა რუსთაველთან, და ცხადია, ასეთ ჩანაფიქრს მთხრობელებიც გამორჩეული უნდა ჰყოლოდა – ისეთი მწერლები და მეცნიერები, რომელთათვისაც „ვეფხისტყაოსანი“ არა მხოლოდ კვლევის საგანს, არამედ მძაფრი განცდების წყაროსაც წარმოადგენდა.

ლიბერთის მხარდაჭერით პროექტმა მასშტაბურობა შეიძინა და ის ყველასთვის მისაწვდომი გახდა.

ექვსმა მთხრობელმა თორმეტი ლექცია წაიკითხა ლეჩხუმის ყველა უფროსკლასელისთვის და მოსწავლეებმაც საუკეთესო გამოცდილება მიიღეს. ისინი ბევრ შეკითხვას სვამდნენ, გაიმართა მსჯელობა არაერთ საკითხზე, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის იყო, რომ მათ ანთებულ თვალებში ჩანდა დაუოკებელი წყურვილი და ინტერესი ცოდნის მიღებისა და ახლის შეცნობისა.“

„საუბრები ვეფხისტყაოსანზე“ ლიბერთის კიდევ ერთი საგანმანათლებლო პროექტია, რომლიც ჩვენ ცაგერის ისტორიულ მუზუმთან ერთად განვახორციელეთ. პროექტის დაწყების წინ ერთადერთი მიზანი გვქონდა – მოსწავლეებს გაეგოთ და მოესმინათ „ვეფხისტყაოსანზე“ ისეთი ისტორიები, რაც მათ ნაწარმოების მიმართ დამატებით ინტერესს გაუჩენდა. მოხარული ვართ, რომ ჩვენ ჩავიწერეთ ამ უნიკალურ ლექციათა ციკლი, რომელიც ამიერიდან ყველა მსურველს შეგვიძლია გავუზიაროთ.“

ნინი ბუკია

ლიბერთის კორპორაციული პასუხისმგებლობისა და კომუნიკაციის მენეჯერი

„ეს დღე ჩვენია“ – 26 მაისი

26 მაისი საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი დღეა. სწორედ ამ დღეს მიეძღვნა ლიბერთის შემეცნებითი კამპანია, რომელიც ითვალისწინებდა 1918 წლის 26 მაისს გაზეთებში გამოქვეყნებული საინტერესო ისტორიების ვიზუალური ფორმით გადმოცემას.

ეს ისტორიები ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ საგაზეთო გამოცემების არქივში იქნა მოძიებული. პროცესში ჩართული იყვნენ ახალგაზრდა გრაფიკოსები, რომლებმაც 26 მაისის ისტორიების ამსახველი ილუსტრაციები შექმნეს.

„26 მაისი არის დღე, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ დაიბრუნა თავისუფლება.

მნიშვნელოვანი იყო, ამ პროექტის ფარგლებში გაგვეცოცხლებინა ის კონკრეტული ამბები, რომელიც 26 მაისს თბილისის ქუჩებში ხდებოდა, გვეჩვენებინა, თუ როგორ ზეიმობდა ქართველი ხალხი ამ დღეს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის არქივში მოვიძიეთ საინტერესო ფაქტები 1918 წლის 26 მაისის გაზეთებიდან, ახალგაზრდა არტისტები კი შეეცადნენ, ილუსტრაციებით გადმოეცათ გაზეთებში დაბეჭდილი ისტორიები. ვფიქრობთ, ამ ვიზუალური კამპანიით შევძელით ახალი თაობისთვის მათთვის საინტერესო ფორმით გადმოგვეცა ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დღის ამბავი.“

თამარ მეგრელიშვილი

ლიბერთის მარკეტინგისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

კონკურსი ტარდება **2014 წლიდან**

კონკურსში მონაწილეობა მიიღო **3 000-მა სკოლის მოსწავლემ** საქართველოს ყველა რეგიონიდან

---

9 წლის განმავლობაში ფინალში გადავიდა და შეიქმნა **100-ზე** მეტი ახალი ტექნოლოგია და პროტოტიპი

„ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი“ მიზნად ისახავს უფროსკლასელებში ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების შექმნის წახალისებას და საბუნებისმეტყველო-საინჟინრო (STEM) დარგებისადმი ინტერესის გაზრდას.
2023 წელს კონკურსს 12 ფინალისტი გუნდი ჰყავდა თბილისის, ქუთაისის, სენაკის, ბათუმის, ზუგდიდის, ახმეტისა და მცხეთის სკოლებიდან, რომელთაც პროექტები კოსმოსის, ავიაციის, რობოტექნიკის, მობილური ტექნოლოგიებისა და აპლიკაციების, გარემოს დაცვის, ჯანდაცვის, ენერგეტიკისა და სატრანსპორტო სფეროებში წარმოადგინეს.

2023 წლის კონკურსის პირველი ადგილი და მთავარი პრიზი - NASA-ს საზაფხულო სკოლაში გამგზავრება მოიპოვა გუნდმა „TerraTech“-მა, მაღაროელებისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად მაღალტექნოლოგიური ჭკვიანი უნიფორმისა და მაღაროელი რობოტის შექმნისთვის.

მეორე ადგილის მფლობელი გახდა თბილისის 199-ე საჯარო სკოლის გუნდი „FSTF'(From Seeable To Feelable), პორტატული მოწყობილობისთვის შექმნისთვის, რომელიც ნაბეჭდ ტექსტებს უსინათლო ადამიანებისთვის ბრაილის შრიფტით თარგმნის. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) დაფინანსებით, გუნდის წევრები სტენფორდის უნივერსიტეტის (აშშ) „iD Tech“ ტექნოლოგიების ბანაკში გაემგზავრებიან. მესამე ადგილი და ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში (CERN), შვეიცარიაში, სასწავლო ვიზიტი მოიპოვა თბილისისა და ბათუმის სკოლების მოსწავლეებისაგან დაკომპლექტებულმა გუნდმა „Optical Visionaries“. მათ შექმნეს რობოტი ოფთალმოლოგი, რომელიც მოიცავს მინი სადიაგნოსტიკო მობილურ სისტემას და უზრუნველყოფს როგორც პერიმეტრის, ისე მხედველობის სიმახვილის დადგენას. გამარჯვებულები შვეიცარიაში ლიბერთი ბანკის დაფინანსებით გაემგზავრებიან.

გუნდი „Halove“ კი კომპანია EPAM-ის რჩეული გახდა და მისი წევრები სასწავლო ვიზიტით EPAM ლიეტუვას ეწვევიან.

მაგდა მაღრაძე

ათასწლეულის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი

„STEM დარგებისა და მეცნიერების პოპულარიზების მიზნით 2014 წელს დავაფუძნეთ ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი. პროექტი NASA-სთან თანამშრომლობით ხორციელდება და დღეს ის საქართველოში ახალგაზრდების ერთ-ერთი საყვარელი პროექტია. 13-18 წლის მოსწავლეების მიერ შექმნილი შთამბეჭდავი პროექტებისა და პროტოტიპების ნახვისას, ხვდები, თუ რამხელა პოტენციალს ფლობს დღეს საქართველო მათი სახით. ჩვენ ვამაყობთ ამ ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენითა და წახალისებით და გვჯერა, რომ ისინი აუცილებლად დიდ წარმატებას მიაღწევენ მომავალში.“

თორნიკე ბენიძე

ლიბერთის ინფორმაციული ტექნოლოგიების დირექტორი

„ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი დიდ როლს ასრულებს მომავალი თაობის წინსვლაში. ის მნიშვნელოვნად ზრდის ასობით სკოლის მოსწავლის მოტივაციას და უღვივებს მათ ახალი აღმოჩენებისაკენ სწრაფვის სურვილს. ეს არის თაობა, რომელიც მუდმივად მიილტვის ახლისა და განსაკუთრებულის შექმნისკენ. ნებისმიერი მათი გამოგონება მიზნად ისახავს უკეთესი გახადოს სამყარო და დაიცვას ადამიანები და გარემო.“

პროექტში მონაწილეობის მისაღებად **დარეგისტრირდა**

3 209

ახალგაზრდა

7 ერთკვირიანი ინტენსიური ბიზნეს გადამზადების **BET ტრენინგი გაიარა**

175

მონაწილემ

127 ორდღიანი საბაზისო სამეწარმეო **ტრენინგი გაიარა**

1 556

ახალგაზრდამ

ჯამში დაფინანსდა

54

ბიზნესიდეა

გამარჯვებულებმა

500 000

ლარზე მეტი

დაფინანსება მოიპოვეს

ბიზნესიდეა წარმოადგინა

744

მონაწილემ

ბიზნესგეგმა წარმოადგინა

161

მონაწილემ

პროექტი მიმდინარეობს

4 რეგიონის
18 მუნიციპალიტეტში

With funding from

Austrian Development Cooperation

ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის

RURAL DEVELOPMENT THROUGH YOUTH ENTREPRENEURSHIP

MERCY CORPS LIBERTY International Foundation of Sport Tourism and Youth

ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის

„ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის“ (RDYE) 3-წლიანი პროექტია, რომელსაც ახორციელებს „მერსი ქორფსის“ წარმომადგენლობა საქართველოში (Mercy Corps Georgia) ავსტრიის განვითარების თანამშრომლობისა (ADC) და ლიბერთი ბანკის დაფინანსებით. პროექტის მხარდამჭერია სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდი. პროექტი მიზნად ისახავს 18-დან 35 წლამდე ახალგაზრდების სამეწარმეო უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გაღრმავებას, სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიმართულების ბიზნესების მხარდაჭერას, ფინანსებზე ხელმისაწვდომობისა და საბაზრო კავშირების დამყარების ხელშეწყობას.

პროექტის მოტივაციაა რეგიონებში ახალგაზრდების სოციალური და ეკონომიკური მონაწილეობის გაზრდა, მათი კეთილდღეობის გაუმჯობესება და სამეწარმეო პოტენციალის ხელშეწყობა.

ლიბერთის გუნდმა, სპეციალურად პროექტის სასწავლო პროგრამისთვის, შექმნა ფინანსური წიგნიერების სასწავლო მოდული, რომლითაც უკვე 1500-ზე მეტმა ახალგაზრდამ გაიარა.

„ორი წლის წინ, როდესაც RDYE პროექტი დავიწყეთ, საკმაოდ ამბიციური მიზანი გვქონდა: გვინდოდა გაგვეუმჯობესებინა საქართველოს 18 მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდა მეწარმეების ცხოვრება. პროექტში გაერთიანებული ორგანიზაციები დღემდე დიდი მონდომებით ვართ ჩართული თითოეული ახალგაზრდის სამეწარმეო პოტენციალისა და მათ მიერ მართული საწარმოების განვითარების პროცესებში. მიმაჩნია, რომ RDYE პროექტს უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს ახალგაზრდების სოციალური და ეკონომიკური მხარდაჭერის, დასაქმების, მიგრაციის პრევენციის, კომპეტენციების გაძლიერების, ფინანსებზე წვდომისა და სამეწარმეო ეკოსისტემის განვითარების საქმეში.

რომ არა ლიბერთის თანადგომა, ამ ყველაფერს ვერ შევძლებდით. ჩვენი ერთობლივი ინიციატივა კი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ კიდევ უფრო მაღალ შედეგებს მივაღწიოთ.“

უჩა ვარამაშვილი

RDYE პროექტის დირექტორი

ვაჟა მენაბდე

ლიბერთის მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართულების დირექტორი

ლიბერთისთვის მნიშვნელოვანია საკუთარი წვლილი შეიტანოს სოფლად მცხოვრები ახალგაზრდა მეწარმეების ბიზნესის განვითარებაში. პროექტის მიმდინარეობისას გავიცანით ახალგაზრდა მეწარმეები ძალიან საინტერესო ბიზნეს იდეებით. ფინანსური განათლება და ფინანსური კონტრიბუცია კი ამ ახალგაზრდებს აუცილებლად დაეხმარება შექმნან წარმატებული და პასუხისმგებლიანი კომპანიები, გაძლიერდნენ და თავის წვლილი შეიტანონ რეგიონის განვითარებაში. მადლობას ვუხდით ჩვენს პარტნიორებს ამ შესაძლებლობისთვის.“

„ლინგვინგი“

ქართული ენის შემსწავლელი კურსი
მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან გაიარა

15 000

ადამიანმა

ვატო ველიაშვილი

„ლინგვინგის“ დამფუძნებელი

„ლინგვინგი“ წარმოადგენს წამყვან ონლაინ პლატფორმას, რომელიც ტექნოლოგიური პროდუქტია და იყენებს ინოვაციური სწავლის მეთოდს. ჩვენი ბრენდის მთავარი ამოცანაა ყველაზე მარტივად, ხელმისაწვდომად და ხალისით ასწავლოს ენა მომხმარებელს. დღეისთვის ჩვენს სერვისს საქართველოში 280 000 ადამიანზე მეტი იყენებს. ლიბერთისა და „ლინგვინგის“ თანამშრომლობა საუკეთესოდ გამოხატავს ჩვენს ეროვნულ ინტერესს ქართული ენის პოპულარიზაციისა და გავრცელების მიმართ. ორმაგად სასიამოვნოა, როდესაც იცი, რომ ქართულ ენას შეისწავლის ის მომავალი თაობა, რომელიც ემიგრაციაში იზრდება.“

„მოხარული ვართ, რომ „ლინგვინგთან“ პარტნიორობით 15,000 ადამიანს გაუჩნდა ქართული ენის შესწავლის სურვილი. განსაკუთრებით გვახარებს ემიგრაციაში მცხოვრები ქართველების აქტიურობა. ვფიქრობ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ინიციატივით ემიგრანტებს მივეცით კიდევ ერთი შესაძლებლობა, უფრო მეტად დაახლოებოდნენ ქართულ ენას და საკუთარ სამშობლოს“.

ნინი ბუკია

ლიბერთის კორპორაციული პასუხისმგებლობისა და კომუნიკაციის მენეჯერი

პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობა

2023 წელს ლიბერთი ბანკმა პარტნიორული თანამშრომლობა დაიწყო 18 პროფესიულ სასწავლებელთან. თანამშრომლობის ფარგლებში, ლიბერთიმ კოლეჯებში მოაწყო ბანკის მომსახურების სიმულაციის სივრცეები სრული სამუშაო აღჭურვილობით, რამაც სტუდენტებს მისცა დამატებითი შესაძლებლობა ესწავლათ და პრაქტიკაში გადაეტანათ მიღებული ცოდნა.

პროფესიული სასწავლებლების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩატარდა ტრენინგები.

ყველა სასწავლებლის საფინანსო სერვისების მიმართულების სტუდენტებმა გაიარეს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სამუშაო პრაქტიკა ლიბერთის ფილიალებში.

ნინო ჩიხლაძე

ლიბერთის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

„ლიბერთიმ მიზნად დაისახა პროფესიული კოლეჯების მხარდაჭერა და მათი პოპულარიზაცია.

კოლეჯში მიღებულ თეორიულ ცოდნასთან ერთად, ბანკი დამატებით უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას სპეციალურად მათზე მორგებული პრაქტიკული პროგრამებით, რის შემდეგაც მათ ეძლევათ ბანკში დასაქმების შესაძლებლობა. ლიბერთის კარი ღიაა პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულებისათვის: ჩვენ მზად ვართ დავასაქმოთ ისინი და ხელი შევუწყოთ მათ სწრაფ პროფესიულ განვითარებას."

2023 წელს ლიბერთიმ თანამშრომლებისთვის შექმნა უნიკალური ონლაინ სასწავლო სივრცე, რომელიც მათ საშუალებას აძლევს ცოდნა სხვადასხვა მიმართულებით გაიღრმაონ. პლატფორმა სწავლების უახლეს მეთოდოლოგიას ეფუძნება. მონაწილეებს შეუძლიათ ჩაერთონ სასწავლო პროცესში ნებისმიერ დროს და ნებისმიერი ადგილიდან, რაც ლიბერთიში დასაქმებული თანამშრომლებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. მათ ინტერესებზე დაფუძნებული ტრენინგ კურსებით კი შესაძლებელი გახდა ონლაინ სასწავლო სივრიცის კურსების კიდევ უფრო გამრავალფეროვნება.
2023 წლიდან ლიბერთიმ თანამშრომლებისთვის წამოიწყო აქტიური კამპანია, რომელიც ეძღვნებოდა სექსუალური შევიწროების პრევენციის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

ლიბერთიმ 2023 წელსაც გააგრძელა ქალების ეკონომიკური გაძლიერების პროგრამა და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან ერთად ტრენინგები ჩაატარა გოგონათა ბანაკის მონაწილეთათვის.

მახარე მერებაშვილი

სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი

„სასწავლო ცენტრმა მიზნად დაისახა, ლიბერთის თანამშრომლებისთვის შეექმნა სწავლებისა და განვითარების საუკეთესო გამოცდილება. ზუსტად ერთი წლის წინ დანერგილი სასწავლო პლატფორმის შედეგად აღმოჩნდა, რომ ელექტრონული სწავლების მეთოდოლოგიის დანერგვამ მოკლე დროში მოგვცა შესაძლებლობა, ბევრად ეფექტიანად გვემართა სასწავლო პროცესი, რასაც თანამშრომელთა მაღალი ჩართულობა და კომპეტენციის ზრდა მოჰყვა."

ლიბერთი უფროსი თაობისთვის

MyDoc – მოძრავი კლინიკა

ლიბერთისა და ტელეკლინიკა – MyDoc-ის ერთობლივი პროექტი, რომელიც უფროსი თაობის მომხმარებლების სამედიცინო საჭიროებებზეა მორგებული, 2022 წლის გაზაფხულიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება.

თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილმა მოძრავმა კლინიკამ – MyDoc, ლიბერთის მობილური ბანკის მანქანებთან ერთად 421 სოფელი მოიარა და გულსისხლძარღვოვანი და სასუნთქი გზების დაავადებების მიმართულებით ლიბერთის 5 265 მომხმარებელს ჩაუტარა უფასო მაღალტექნოლოგიური სამედიცინო კვლევები.

ამ პროექტით ლიბერთიმ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და გახდა Global Compact Awards 2022-ის გამარჯვებული.

421
სოფელი

5 265
ადამიანის
სამედიცინო
კვლევა



ირაკლი სასანია

ტელეკლინიკა MyDoc-ის მმართველი პარტნიორი

„MyDoc-ის მიერ ყველა ბენეფიციარისთვის შეიქმნა ინდივიდუალური დაცული სამედიცინო ელექტრონული ბარათი. მასზე ჩატვირთულია ყველა სამედიცინო კვლევის შედეგი, რომლის გამოყენებაც, საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერ დროს შეეძლებათ ბენეფიციარებს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ვიზრუნეთ იმაზეც, რომ მოსახლეობას მაქსიმალურად გაადვილებოდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და აუცილებელი თანამედროვე სამედიცინო სერვისებით სარგებლობა, რომელთა მისაღებადაც მათ შორ მანძილზე გადაადგილება და თანხის გადახდა უწევდათ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ რეგიონებისთვის, რომელთაც არ ჰყავთ ყველა დარგის ექიმი-სპეციალისტი.“

„ლიბერთიში უნიკალური სოციალური პროექტების განხორციელების მიზანს უფროსი თაობის ადამიანების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და მათზე ზრუნვა წარმოადგენს.

ჩვენ კარგად ვიცნობთ ჩვენს მომხმარებლებს, მათ საჭიროებებსა და სურვილებს. სწორედ ამან გვიბიძგა მობილური კლინიკების ინოვაციური პროექტის შექმნისკენ, რომლის ფარგლებშიც სოფლად მცხოვრებ უფროსი თაობის ადამიანებს ადგილზე უფასოდ უტარდებათ მათთვის დღემდე ძნელად ხელმისაწვდომი მაღალტექნოლოგიური სამედიცინო-დიაგნოსტიკურ კვლევები.

„ტელეკლინიკა MyDoc”-ის მიმართ გაზრდილი ინტერესი ძალიან გვახარებს და მოტივაციას გვაძლევს, რომ პროექტი კიდევ უფრო მასშტაბური გახდეს.“

გიორგი ქოროღლიშვილი

ლიბერთის ციფრული ბანკინგისა და ინოვაციების ოფისის ხელმძღვანელი

უნიკალური პროგრამები სოციალური ბარათის მფლობელებისთვის

2019 წლიდან ლიბერთი ახორციელებს უნიკალურ ლოიალობის პროგრამას სოციალური ბარათების მფლობელთათვის. პროექტში ჩართულია 11 პარტნიორი კომპანია, რომელთა პრივილეგირებული პირობებით და განსაკუთრებული შეთავაზებებით სარგებლობენ ლიბერთის უფროსი თაობის მომხმარებლები და სოციალური ბარათის სხვა მფლობელები საკვები, საყოფაცხოვრებო პროდუქტის, მედიკამენტებისა და სამედიცინო სერვისების შეძენისას.

„ლიბერთის ლოიალობის სოციალური პროექტი უფროსი თაობის წარმომადგენლებზე ზრუნვას ისახავს მიზნად.

უკვე მეექვსე წელია ჩვენს მეგობარ კომპანიებთან ერთად ჯანდაცვის, სურსათისა და კულტურის სფეროში, ვახორციელებთ აღნიშნულ ლოიალობის პროგრამას, რომელიც უფროსი თაობის ადამიანებს და ასევე სოციალური სარგოს მიმღებ მოსახლეობას, აძლევს საშუალებას, განსაკუთრებული პირობებითა და შეღავათებით ისარგებლოს სხვადასხვა ტიპის პროდუქციის შეძენა-მომსახურების დროს."

მარიკა ნუცუბიძე

ლიბერთის სოციალური მიმართულების პროექტების ხელმძღვანელი

ლიბერთი თანაბარი შესაძლებლობებისთვის

ლიბერთი თანაბარი შესაძლებლობებისთვის

2023 წელს ლიბერთიმ გააგრძელა შშმ პირთა მისაწვდომობის მასშტაბურ პროექტზე მუშაობა, რომელიც ეფუძნება შშმ პირთა გაეროს კონვენციის სტანდარტებს და რომლის მიზანსაც წამოადგენს შშმ პირებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ბანკის ფილიალებში ან დისტანციურად მომსახურების მიღებისას.

ლიბერთის აქვს ამბიცია გახდეს ქვეყანაში ერთ-ერთი პირველი ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებს ბანკის გლობალური პოლიტიკის ჭრილში გაიაზრებს;

პროექტი მოიცავს რამდენიმე ეტაპს. მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე, სამოქმედო გეგმა გაწერილია 3 წელიწადზე.

- ფიზიკური მისაწვდომობის გაუმჯობესება
- ადაპტირებული სერვისების შექმნა
- თანამშრომლების გადამზადება
- ცნობიერების ამაღლება შშმ პირთა თემასთან დაკავშირებით
- ადვოკატირების პროცესი არასამთავრობო სექტორის ჩართულობით

ქეთი მარგალიტაძე

**ადამიანთა უფლებების დაცვისა
და სოციალური პოლიტიკის ექსპერტი**

„დღეს, საქართველოს საბანკო სივრცეში პირველად, ლიბერთი ბანკში მუშავდება და ინერგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის საბანკო სერვისების მისაწვდომობის სტანდარტი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვა ჩვენი ორგანიზაციის „Georgian Development Foundation" ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საფუძვლიანი წარმოდგენა გვქონდა შშმ თემის წინაშე არსებული გამოწვევების თაობაზე, ამ კანონზე მუშაობისას ბევრი ისეთი პრობლემა აღმოვაჩინეთ, რომელთა არსებობაც ძნელი დასაჯერებელია ოცდამეერთე საუკუნეში. ვფიქრობ, თვალსაჩინოებისთვის საკმარისი იქნება ასეთი მაგალითის მოყვანა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არ შეეძლოთ ადამიანის ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობა მხოლოდ იმიტომ, რომ არ არსებობდა ადაპტირებული სერვისები, საზოგადოებას კი არ ჰქონდა საკმარისი ცოდნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის წესების შესახებ.

მოხარული ვართ, რომ საქართველოს საბანკო სექტორში ლიბერთი ბანკმა პირველმა გამოიჩინა ინიციატივა ამ მიმართულებით."

„2022 წლიდან, ლიბერთის გუნდი ახორციელებს „მომსახურების მისაწვდომობის" პროექტს. ლიბერთი უმსხვილესი სისტემური ბანკია ყველაზე ფართო ქსელით და ჩვენ უკვე ვემსახურებით შშმ პირებსა და მათი ოჯახის წევრებს.

ტრანსფორმაციის პროცესში ჩვენთვის მნიშვნელოვანია ადაპტირებული გარემოს შექმნა და მათ საჭიროებებზე მორგებული მომსახურებისა და პროდუქტების შეთავაზება. მოხარული ვარ, რომ ამ პროცესში მონაწილეობენ გამოცდილი ექსპერტები. ერთად კი, ჩვენ ვემსახურებით თანაბარი შესაძლებლობების შექმნის იდეას, რომელიც გაეროს ადამიანთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია.

ლიბერთის გუნდის სურვილია, ისე მიუდგეს შშმ პირთა უფლებების დაცვას, როგორც სისტემურ ამოცანას, რომლის მიზანსაც წარმოადგენს თანასწორობის უზრუნველყოფა და საქართველოში მოქმედი სხვა კომპანიებისთვის მაგალითის მიცემა."

თორნიკე კორძაია

**საცალო საბანკო მიმართულების
ხელმძღვანელი**

„ჰეი“ – ადგილი სადაც საკუთარი თავის რწმენა ბრუნდება

„ჰეი“ ის ადგილია, სადაც ყველა ბავშვი თავის წილ ბედნიერებას პოულობს. სამი წელია, რაც „ჰეიში“ სმენის დარღვევის მქონე მოზარდები მათთვის უაღრესად მნიშვნელოვან უნარ-ჩვევებს იძენენ და ცხოვრებისთვის ემზადებიან.

ორგანიზაციის გამორჩეული, საინტერესო, შემეცნებითი და მრავალფეროვანი პროექტები მოზარდებს ყოველდღიურობას უფერადებს და საკუთარი ინდივიდუალურობის აღმოჩენაში ეხმარება. „ჰეის“ მიზნები მოიცავს როგორც სმენდაქვეითებული მოზარდების საზოგადოებაში ინტეგრირების გზების ძიებას, ისე მათი პიროვნული, სოციალური, შემეცნებითი, კოგნიტური თუ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას.

ხათუნა რაზმაძე

„კიასკუროს“ დამფუძნებელი

„ჩვენთან ყველა ბავშვი გენიოსია! იმიტომ რომ თითოეულ მათგანს უნიკალური ინტერესები და შესაძლებლობები აქვს. სწორედ ამ ინტერესებსა და შესაძლებლობებზე დაყრდნობით აძლევს მათ „ჰეის“ გუნდი ყველაზე მთავარს – საკუთარი თავის რწმენასა და თავდაჯეებულობას, და შედეგიც არ აყოვნებს. „ჰეის“ მოზარდები შემეცნებასთან ერთად ხელოვნებასაც ეზიარებიან. ხელოვნების თერაპიის გაკვეთილებზე უზარმაზარი ენთუზიაზმითა და მონდომებით სწავლობენ სხვადასხვა მასალაზე მუშაობას, ამზადებენ ხელნაკეთ ნივთებს, ხატავენ, ქმნიან, შემდეგ კი ამ ნამუშევრებით საქველმოქმედეო გამოფენა-გაყიდვაზე დამთვალიერებლების წინაშე იწონებენ თავს. უკვე ცხრაჯერ ჩავატარეთ „ჰეის“ მოზარდების ხელნაკეთების გამოფენა-გაყიდვა და ყოველ ჯერზე ვცდილობდით, ისინი ერთმანეთისგან განსხვავებული ყოფილიყო. გამოფენაზე წარმოდგენილი თითოეული ნივთი წინამორბედზე უფრო დახვეწილი და საინტერესოა. ყოველი ასეთი გამოფენა ნიშნავს მოზარდებში თვითშეფასების კიდევ უფრო მეტად ამაღლებას და მათ გულებში ჩასახული იმედისა და მომავლის რწმენის გაზრდას.“

„„ჰეი, შეგვამჩნიეთ, ჩვენ აქ ვართ!“ ეს არის მოწოდება, რომლითაც პროექტის მონაწილეები ჩვენს ყურადღებას ითხოვენ. ადამიანების შემართებას და მონდომებას საზღვარი არ აქვს. მთავარია დაინახო და თანამონაწილეობის სურვილი გაგიჩნდეს.

ლიბერთის გუნდისთვის დიდი პატივი იყო ამ პროექტში მონაწილეობა. ჩვენ „ჰეი“ შევამჩნიეთ, ისინი ჩვენიანები არიან. ახლა მთავარია, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაიგოს ამ ერთი პატარა, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი ინიციატივის შესახებ.“

ნინო ბერიძე

ლიბერთის მომხმარებელთა გამოცდილების განყოფილების უფროსი

ქალთა საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთი“

ლიბერთი 2021 წლიდან გულშემატკივრობს ქალთა საფეხბურთო გუნდს – „ლანჩხუთი“. ქალთა გაძლიერებასთან ერთად, ლიბერთის მიზანი საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების მსხვრევაა.

ლიბერთის თანამშრომლები მთელი წლის განმავლობაში აქტიურად გულშემატკივრობდნენ „ლანჩხუთს“ საქართველოს ჩემპიონატში.

ჩვენთან ერთად 2021 წელს კლუბი საქართველოს ჩემპიონი გახდა და საქართველოს თასიც მოიპოვა, ქსკ „ლანჩხუთის“ ორი ფეხბურთელი – ხატია ჭყონია და ეთერ სულაშვილი კი საქართველოს საუკეთესო ქალ ფეხბურთელებად დასახელდნენ. წელს „ლანჩხუთი“ საქართველოს მოქმედი ჩემპიონია და ის კვლავაც ცდის ბედს წლევანდელ ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ეტაპზე.



„ცხოვრების რაღაც ეტაპზე ყველა ადამიანი ამსხვრევს სტერეოტიპებს. ჩემთვის და ჩემი თანაგუნდელებისთვის ეს ფეხბურთის დახმარებით, სტადიონზე მოხდა. ჩემი აზრით, საქართველოში ქალთა ფეხბურთის პოპულარობა ჩვენი მონდომების, ერთგული გულშემატკივრის, კარგი პარტნიორებისა და, ზოგადად, საზოგადოებაში ამ სპორტისადმი განსაკუთრებული დამოკიდების დამსახურებაა“.

ია ალელიშვილი

ქსკ „ლანჩხუთის“ გუნდის კაპიტანი

„ქალთა ფეხბურთის განვითარება საქართველოში ჩვენი ქვეყნის თანამედროვე მსოფლიო ტენდენციებში ჩართულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია.

ქართველ ქალებს ბევრჯერ უსახელებიათ საკუთარი ქვეყანა ხელოვნების სხვადასხვა დარგისა თუ სპორტის სახეობაში. თუნდაც ქალთა ჭადრაკის ქართული სკოლა რად ღირს, რომლის მსგავსი წარმატებისთვის მსოფლიო ქალთა ჭადრაკის ისტორიაში ჯერ არც ერთი ქვეყნის წარმომადგენლებს არ მიუღწევიათ! მჯერა, რომ სათანადო ყურადღებისა და გულშემატკივრის მხარდაჭერით ქართველი ქალი ფეხბურთელები არანაკლებ წარმატებას მიაღწევენ.“

ვატო ბაბუნაშვილი

ლიბერთის გენერალური დირექტორის მოადგილე და ფინანსური დირექტორი

„ლიბერთი გულით“ თანამშრომლების საქველმოქმედო ფონდი

ლიბერთის გუნდის ინიციატივით შექმნილი ფონდის მიზანია ლიბერთის თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დაფინანსება.

დაარსებიდან დღემდე ფონდი დაეხმარა 222 თანამშრომელს და ჯამში გაიცა 481 500 ლარი.

222 -ჯერ
გავეცით დახმარება

სულ გავეცით
481,497 ₾

ლიბერთი გარემოზე ზრუნვისთვის

2021 წლიდან „ლიბერთი ბანკში“ მოქმედებს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვისა და პოლიტიკის დოკუმენტი.

2023 წლის მანძილზე „აწარმოე საქართველოსა“ და მსოფლიო ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, აქტიურად მიმდინარეობდა ეკომეგობრული კომპანიების თანადაფინანსება.
გასულ წელს, საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში ჩაშენდა ე.წ. Nace Code-ები, რის საფუძველზეც ხდება სესხების კლასიფიცირება გარემოსდაცვითი რისკების მიხედვით.

ასევე გაფორმდა ხელშეკრულება ევროპის საინვესიტიციო ბანკთან (EIB) ESG სფეროში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებისა და მისი ლიბერთის პროცესებში სრულად იმპლემენტაციის მიზნით, რაც ამავდროულად ითვალისწინებს შესაბამისი თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების აქტივობებსაც.

2023 წელს განხორციელებული ყველა პროექტი და პროგრამა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და თანამშრომლების ძალისხმევის შედეგია.

გვსურს მადლიერება გამოვხატოთ თითოეული მათგანის მიმართ აქტიური მხარდაჭერისა და წარმატებული თანამშრომლობისთვის.

OPTICAL VISIONARIES

ჩვენი პროექტის "რობოტი ოფთალმოლოგი" ყველაზე მთავარი და ინოვაციური ფუნქციაა თვალის სრული დიაგნოსტიკის ჩატარება დამოუკიდებლად, ექიმის ჩარევის გარეშე.

ანანო ბახტაძე

მართა თოდუა

ნიკა
ლიპინსკი

მარიამ
ღურჭუმელია

ლიზი
ტყებუჩავა